

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №590

2020 წლის 23 სექტემბერი

ქ. თბილისი

ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტისა და 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესი“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 21 მარტის №68 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესი“ (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე ინციდენტის და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციას და მის შესაბამისად ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კოდირების წესს.

2. წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მნიშვნელობა.

მუხლი 2. ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაცია

1. ინციდენტი და საგანგებო სიტუაცია, მათი წარმოქმნის ხასიათიდან გამომდინარე, იყოფა შემდეგ სახეობად:

ა) ბუნებრივი;

ბ) ადამიანური ფაქტორით გამოწვეული (ტექნოგენური).

2. ინციდენტი/საგანგებო სიტუაცია ბუნებრივი წარმოშობისაა, თუ მისი გამომწვევი წყარო საშიში ბუნებრივი მოვლენა ან პროცესია. ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ ინციდენტს/საგანგებო სიტუაციას წარმოადგენს ყველა ის შემთხვევა, რომელიც წარმოიშობა და ვითარდება ადამიანის საქმიანობის შედეგად.

3. საგანგებო სიტუაცია, მისი შედეგების, მისი ლიკვიდაციისათვის საჭირო რეაგირების ძალებისა და მატერიალური რესურსების რაოდენობის გათვალისწინებით, მისი ხასიათის, ადგილისა და



საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების მასშტაბის მიხედვით, შეიძლება იყოს ადგილობრივი მნიშვნელობის ან ეროვნული მნიშვნელობის.

4. საგანგებო სიტუაცია ადგილობრივი მნიშვნელობისაა, თუ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მოსალოდნელია, წარმოქმნილია ან/და განვითარებულია საგანგებო სიტუაცია, რომლის სამართავად, მისი ხასიათიდან გამომდინარე, საკმარისია ეროვნული სისტემის ერთი სუბიექტის რეაგირების ძალები და საშუალებები ან ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა რეაგირების ძალები და საშუალებები.

5. საგანგებო სიტუაცია ეროვნული მნიშვნელობისაა, თუ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მოსალოდნელია, წარმოქმნილია ან/და განვითარებულია საგანგებო სიტუაცია:

ა) რომლის მართვა, მისი ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია ეროვნული სისტემის ერთი სუბიექტის რეაგირების ძალებითა და საშუალებებით ან ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა რეაგირების ძალებითა და საშუალებებით;

ბ) რომლის ზეგავლენა შეიძლება გავრცელდეს საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე და საფრთხე შეუქმნას ადამიანთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;

გ) რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეროვნული საგანძურის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნებას, საქართველოს „წითელ წიგნში“ ან „წითელ ნუსხაში“ შეტანილ იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა და მცენარეთა სახეობებს;

დ) რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს ეკონომიკას ან გარემოს;

ე) რომლის ლოკალიზაცია/ლიკვიდაცია ხანგრძლივად გრძელდება;

ვ) რომლის ლოკალიზაცია/ლიკვიდაცია საერთაშორისო დახმარებას საჭიროებს.

მუხლი 3. ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის კოდის სტრუქტურა

1. ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტი/საგანგებო სიტუაცია იყოფა კლასებად, ჯგუფებად და სახეობებად, წესის დანართ №1-ის შესაბამისად.

2. ინციდენტს და ადგილობრივი ან ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციას ენიჭება სათანადო კოდები, წესის დანართ №2-ის შესაბამისად.

3. ინციდენტის კლასიფიკაციის კოდის სტრუქტურა შედგება ოთხი ელემენტისგან: ინციდენტის კოდი (III), ინციდენტის კლასი, ინციდენტის ჯგუფი და ინციდენტის სახეობა, რაც ქმნის ინციდენტის კლასიფიკაციის ექვსნიშნა კოდს.

4. საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის კოდის სტრუქტურა შედგება ოთხი ელემენტისგან: საგანგებო სიტუაციის კოდი: ეროვნული დონე (I) ან ადგილობრივი დონე (II), საგანგებო სიტუაციის კლასი, საგანგებო სიტუაციის ჯგუფი და საგანგებო სიტუაციის სახეობა, რაც მთლიანობაში ქმნის საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის ექვსნიშნა კოდს.

შენიშვნა:

კოდირების მაგალითები

ა) ინციდენტის კოდი: III – 10112:

„III“ – ინციდენტის აღმნიშვნელი;

„1“ – კლასის აღმნიშვნელი: ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტი;



„01“ – ჯგუფის აღმნიშვნელი: სატრანსპორტო ავარიები;

„12“ – სახეობის აღმნიშვნელი: ავარიები შიდა სარეწ ნავთობსადენებზე;

ბ) საგანგებო სიტუაციის კოდი: I – 10112:

„I“ – საგანგებო სიტუაციის აღმნიშვნელი მისი დონის მიხედვით: ეროვნული დონე;

„1“ – კლასის აღმნიშვნელი: ადამიანური ფაქტორით გამოწვეული საგანგებო სიტუაცია;

„01“ – ჯგუფის აღმნიშვნელი: სატრანსპორტო ავარიები;

„12“ – სახეობის აღმნიშვნელი: ავარიები შიდა სარეწ ნავთობსადენებზე.



ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაცია

| ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის დასახელება | კლასი | ჯგუფი | სახეობა | კოდი |
|---|----------|-----------|-----------|-------|
| | I | II | III | IV |
| ადამიანური ფაქტორით გამოწვეული (ტექნოგენური) ინციდენტი/საგანგებო სიტუაცია | 1 | | | |
| სატრანსპორტო ავარიები (კატასტროფები) | 1 | 01 | | |
| სატვირთო მატარებლების ავარიები | | | 01 | 10101 |
| სამგზავრო მატარებლების ავარიები | | | 02 | 10102 |
| მეტროპოლიტენის მატარებლების ავარიები | | | 03 | 10103 |
| საზღვაო სატრანსპორტო და თევზსარეწი გემების ავარიები | | | 04 | 10104 |
| საზღვაო-სამგზავრო გემების ავარიები | | | 05 | 10105 |
| სამდინარო-სამგზავრო გემების ავარიები | | | 06 | 10106 |
| სამგზავრო თვითმფრინავების ავიაკატასტროფები აეროპორტებსა და დასახლებულ პუნქტებში | | | 07 | 10107 |
| სატვირთო თვითმფრინავების ავიაკატასტროფები აეროპორტებსა და დასახლებულ პუნქტებში | | | 08 | 10108 |
| სამგზავრო თვითმფრინავების ავიაკატასტროფები აეროპორტებისა და დასახლებული პუნქტების გარეთ | | | 09 | 10109 |
| სატვირთო თვითმფრინავების ავიაკატასტროფები აეროპორტებისა და დასახლებული პუნქტების გარეთ | | | 10 | 10110 |
| სატრანსპორტო ავარიები ხიდებზე, სარკინიგზო გადასასვლელებსა და გვირაბებში | | | 11 | 10111 |
| ავარიები (კატასტროფები) საავტომობილო გზებზე (მსხვილი საავტომობილო კატასტროფები) | | | 12 | 10112 |
| ავარიები მაგისტრალურ მილსადენებზე | | | 13 | 10113 |
| ავარიები შიდასარეწ ნავთობსადენებზე | | | 14 | 10114 |
| ავარიები მცურავ საბურღ დანადგარებზე და საბურღ გემებზე | | | 15 | 10115 |
| ხანძრები, აფეთქებები, აფეთქების საფრთხეები | 1 | 02 | | |
| ხანძრები (აფეთქებები) შენობებში, კომუნიკაციებსა და სამრეწველო ობიექტების ტექნოლოგიურ აღჭურვილობებზე | | | 01 | 10201 |
| ხანძრები (აფეთქებები) ადვილად აალებადი, წვადი და ფეთქებადი ნივთიერებების დაზვერვის, მოპოვების, გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ობიექტებზე | | | 02 | 10202 |
| ხანძრები (აფეთქებები) სატრანსპორტო საშუალებებზე | | | 03 | 10203 |
| ხანძრები (აფეთქებები) შახტებში, მალარობებში, მიწისქვეშა და სამთო გამონამუშევრებში | | | 04 | 10204 |
| ხანძრები (აფეთქებები) მეტროპოლიტენის ობიექტებზე | | | 05 | 10205 |
| ხანძრები (აფეთქებები) საცხოვრებელ, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების შენობებსა და ნაგებობებში | | | 06 | 10206 |
| ხანძრები (აფეთქებები) ბიოლოგიურად საშიშ ობიექტებზე | | | 07 | 10207 |

| | | | | |
|--|----------|-----------|----|-------|
| ხანძრები (აფეთქებები) ქიმიურად საშიშ ობიექტებზე | | | 08 | 10208 |
| ხანძრები (აფეთქებები) რადიაციულად საშიშ ობიექტებზე | | | 09 | 10209 |
| ასაფეთქებელი საბრძოლო მასალების აღმოჩენა (დაკარგვა) | | | 10 | 10210 |
| ასაფეთქებელი ნივთიერებების აღმოჩენა (დაკარგვა) | | | 11 | 10211 |
| ხანძრები (აფეთქებები) ღია სივრცეში, ქუჩებში, ადამიანთა თავშეყრის ადგილებში (მიწისზედა ტრანსპორტის გაჩერებებზე, მეტროს სადგურების გამოსასვლელებში, ბაზრობებში, პარკებში, სტადიონებსა და სხვა) | | | 12 | 10212 |
| ხანძრები (აფეთქებები) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებზე | | | 13 | 10213 |
| ხანძრები (აფეთქებები) მაგისტრალურ ნავთობ და გაზსადენებზე | | | 14 | 10214 |
| ხანძრები (აფეთქებები) მშენებარე ობიექტებზე | | | 15 | 10215 |
| ხანძრები (აფეთქებები) მსუბუქი ლითონის კონსტრუქციებით და წვადი თბოიზოლაციის გამოყენებით შესრულებულ შენობებსა და ნაგებობებში | | | 16 | 10216 |
| ხანძრები (აფეთქებები) ელექტროენერგეტიკულ სისტემებში | | | 17 | 10217 |
| ხანძრები (აფეთქებები) მიწისქვეშა გადასასვლელებში, საავტომობილო და სარკინიგზო ხიდების ქვეშ | | | 18 | 10218 |
| ხანძრები (აფეთქებები) საკულტო შენობებსა და დაწესებულებებში | | | 19 | 10219 |
| ადამიანური ფაქტორით გამოწვეული (ტექნოგენური) ტყის ხანძრები | | | 20 | 10220 |
| ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით (გაჟონვის საშიშროებით) | 1 | 03 | | |
| ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით (გაჟონვის საშიშროებით) მათი წარმოებისას, გადამუშავებისას ან შენახვისას (დამარხვისას) | | | 01 | 10301 |
| ავარიები ტრანსპორტზე ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით (გაჟონვის საშიშროებით) | | | 02 | 10302 |
| ქიმიურად საშიში ნივთიერებების წარმოქმნა და გავრცელება ავარიის შედეგად დაწყებული ქიმიური რეაქციის შედეგად | | | 03 | 10303 |
| ავარიები საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებებით მათი წარმოებისას, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავებისას | | | 04 | 10304 |
| ქიმიურად საშიში ნივთიერებების წყაროების აღმოჩენა (დაკარგვა) | | | 05 | 10305 |
| მეთანისა და სხვა საშიში ნივთიერებების, გაზების მოულოდნელი გამოტყორცნა | | | 06 | 10306 |
| ნავთობისა და გაზის გამოთავისუფლება საბადოებზე (ნავთობისა და გაზის ღია შადრევნები) | | | 07 | 10307 |
| გარემოში მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება | 1 | 04 | | |
| მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება გრუნტში | | | 01 | 10401 |

| | | | | |
|---|----------|-----------|----|-------|
| მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება ატმოსფეროში | | | 02 | 10402 |
| მიწისქვეშა და სამთო გამონამუშევრების ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება | | | 03 | 10403 |
| მიწისქვეშა და სამთო გამონამუშევრების ჰაერში რადიოაქტიური ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება | | | 04 | 10404 |
| მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება ზედაპირულ წყლებში | | | 05 | 10405 |
| მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება სასმელ წყალში | | | 06 | 10406 |
| მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება მიწისქვეშა წყლებში | | | 07 | 10407 |
| მიწისქვეშა წყლებში რადიოაქტიური ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება | | | 08 | 10408 |
| ავარიები რადიოაქტიური ნივთიერებების გამოტყორცნით (გამოტყორცნის საშიშროებით) | 1 | 05 | | |
| ავარიები მაიონებელი გამოსხივების წყაროებით | | | 01 | 10501 |
| ავარიები ატომურ საწარმოო და სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების ატომურ-ენერგეტიკულ დანადგარებზე რადიოაქტიური ნივთიერებების გამოტყორცნით (გამოტყორცნის საშიშროებით) | | | 02 | 10502 |
| მაიონებელი გამოსხივების წყაროების აღმოჩენა (დაკარგვა) | | | 03 | 10503 |
| რადიოაქტიური ნარჩენების ავარიები | | | 04 | 10504 |
| ატომური ან რადიოლოგიური ავარიები სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, რომელიც დაბინძურებით ემუქრება სახელმწიფოს ტერიტორიას | | | 05 | 10505 |
| ავარიები ბიოლოგიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით (გაჟონვის საშიშროებით) | 1 | 06 | | |
| ავარიები ბიოლოგიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით (გაჟონვის საშიშროებით) საწარმოებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში (ლაბორატორიებში) | | | 01 | 10601 |
| ავარიები ტრანსპორტზე ბიოლოგიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით (გაჟონვის საშიშროებით) | | | 02 | 10602 |
| ბიოლოგიურად საშიში ნივთიერებების აღმოჩენა (დაკარგვა) | | | 03 | 10603 |
| შენობების, ნაგებობების, ქანების მოულოდნელი ჩამოქცევა | 1 | 07 | | |
| სატრანსპორტო კომუნიკაციების ელემენტების ჩამოქცევა | | | 01 | 10701 |
| საწარმოო დანიშნულების შენობებისა და ნაგებობების ჩამოქცევა | | | 02 | 10702 |
| საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების შენობებისა და ნაგებობების ჩამოქცევა | | | 03 | 10703 |
| ქანებისა და სასარგებლო წიაღისეულის ჩამოქცევა სამთო გამონამუშევრებში, კარიერების ჩათვლით | | | 04 | 10704 |
| ავარიები მიწისქვეშა ნაგებობებზე | | | 05 | 10705 |
| ავარიები ელექტროენერგეტიკულ სისტემებში | 1 | 08 | | |

| | | | | |
|--|----------|-----------|----|-------|
| ავარიები ჰიდროელექტროსადგურებზე | | | 01 | 10801 |
| ავარიები თბოელექტროსადგურებზე | | | 02 | 10802 |
| ავარიები ავტონომიურ ელექტროენერგეტიკულ სადგურებზე | | | 03 | 10803 |
| ავარიები სხვა ელექტროენერგეტიკულ სადგურებზე | | | 04 | 10804 |
| ავარიები ელექტროქსელებში | | | 05 | 10805 |
| სატრანსპორტო ელექტრული საკონტაქტო ქსელების მწყობრიდან გამოსვლა | | | 06 | 10806 |
| ქვეყნის ერთიანი ენერგოსისტემის მთლიანობის დარღვევა ან ნაწილებად დაყოფა | | | 07 | 10807 |
| ავარიები ავტონომიურ ელექტროსადგურებზე, ყველა მომხმარებლის ელექტრომომარაგების ხანგრძლივი შეწყვეტით | | | 08 | 10808 |
| ავარიები ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებზე (ქსელებზე) ძირითადი მომხმარებლების ან ვრცელი ტერიტორიების ელექტრომომარაგების ხანგრძლივი შეწყვეტით | | | 09 | 10809 |
| ავარიები სასიცოცხლო უზრუნველყოფის კომუნალურ სისტემებში | 1 | 09 | | |
| ავარიები საკანალიზაციო სისტემებში, დამაბინძურებელი ნივთიერებების მასობრივი გამოთავისუფლებით | | | 01 | 10901 |
| ავარიები გათბობის (ცხელი წყლით მომარაგების) სისტემებში წელიწადის ცივ პერიოდში | | | 02 | 10902 |
| ავარია მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების სისტემებზე | | | 03 | 10903 |
| ავარიები კომუნალურ გაზსადენებზე | | | 04 | 10904 |
| ავარიები კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების სისტემებზე | 1 | 10 | | |
| ავარიები კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების სისტემებზე | | | 01 | 11001 |
| ავარიები სამრეწველო გამწმენდ ნაგებობებზე | 1 | 11 | | |
| ავარიები სამრეწველო საწარმოების ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებზე, რომლის დროსაც მასობრივად გამოთავისუფლდება დამაბინძურებელი ნივთიერებები | | | 01 | 11101 |
| ავარიები სამრეწველო გაზების გამწმენდ დანადგარებზე, რომლის დროსაც მასობრივად გამოთავისუფლდება დამაბინძურებელი ნივთიერებები | | | 02 | 11102 |
| ჰიდროტექნიკური ავარიები | 1 | 12 | | |
| კაშხლების (დამბების, ჩამკეტებისა და სხვა) გარღვევა დამანგრეველი ტალღისა და კატასტროფული დატბორვის წარმოქმნით | | | 01 | 11201 |
| კაშხლების (დამბების, ჩამკეტებისა და სხვა) გარღვევა დამანგრეველი წყალმოვარდნის წარმოქმნით | | | 02 | 11202 |
| წყლის ავარიული გაშვება ჰიდროელექტროსადგურის წყალსაცავიდან, ჰიდროკაშხლის გარღვევის საშიშროებასთან დაკავშირებით | | | 03 | 11203 |
| კაშხლების (დამბების, ჩამკეტებისა და სხვა) გარღვევა ვრცელ ტერიტორიაზე ნაყოფიერი მიწების ჩარეცხვით ან დაშლამდვიტ | | | 04 | 11204 |

| | | | | |
|---|----------|-----------|----|-------|
| მცურავი ქანების, პულპებისა და თიხოვანი მასის გარღვევა, აგრეთვე მოქმედი სამთო გამონამუშევრების დატბორვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას | | | 05 | 11205 |
| სანაპირო ზოლის გამორეცხვა შტორმული მოდენებით | | | 06 | 11206 |
| ავარიები ნავთობისა და გაზის სამრეწველო კომპლექსების სისტემებში | 1 | 13 | | |
| ავარიები საბურღი დანადგარებზე ნავთობისა და გაზის ღია შადრევნების წარმოქმნით | | | 01 | 11301 |
| ავარიები ჭაბურღილებზე ნავთობის, გაზის ან წყლის გამოთავისუფლებით | | | 02 | 11302 |
| ავარიები მოქმედ ჭაბურღილებზე ნავთობისა და გაზის ღია შადრევნების წარმოქმნით | | | 03 | 11303 |
| ავარიები დაკონსერვებულ ჭაბურღილებზე ნავთობისა და გაზის ღია შადრევნების წარმოქმნით | | | 04 | 11304 |
| ავარიები ნავთობბაზებზე და ნავთობსაცავებზე | | | 05 | 11305 |
| კოსმოსური ხასიათის საგანგებო სიტუაციები | 1 | 14 | | |
| კოსმოსური მფრინავი აპარატებისა და მათი ნამსხვრევების ჩამოცვენა | | | 01 | 11401 |
| რადიაციული ვითარების გაუარესება დედამიწის სიახლოვეს კოსმოსურ სივრცეში | | | 02 | 11402 |
| სოციალურ-ეკონომიკური | 1 | 15 | | |
| ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული მასობრივი შიმშილი | | | 01 | 11501 |
| საკვებისა და წყლის დეფიციტით გამოწვეული მასობრივი შიმშილი | | | 02 | 11502 |
| ენერგეტიკული კრიზისი | | | 03 | 11503 |
| ჰიპერინფლაცია | | | 04 | 11504 |
| დეფოლტი | | | 05 | 11505 |
| კიბერ-შეტევა | | | 06 | 11506 |
| სოციალურ-პოლიტიკური | 1 | 16 | | |
| ტერორიზმი (ბიოტერორიზმი, ბირთვული ტერორიზმი) | | | 01 | 11601 |
| ექსტრემიზმი | | | 02 | 11602 |
| სეპარატიზმი | | | 03 | 11603 |
| მასობრივი სუიციდი | | | 04 | 11604 |
| ვანდალიზმი | | | 05 | 11605 |
| კონფლიქტები (ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური) | | | 06 | 11606 |
| გაფიცვები | | | 07 | 11607 |
| აჯანყება | | | 08 | 11608 |
| მასობრივი მღელვალეობებით და სოციალურ-პოლიტიკური აქციებით გამოწვეული სიტუაციები | | | 09 | 11609 |
| სხვადასხვა უმართავი სოციალური პროცესებით გამოწვეული მასობრივი პანიკა | | | 10 | 11610 |
| სოციალურ-ბიოლოგიური საგანგებო სიტუაციები, გამოწვეული ადამიანების გადამდები დაავადებებით | 1 | 17 | | |
| ეგზოტიკური და განსაკუთრებით საშიში ინფექციების ერთეული შემთხვევები | | | 01 | 11701 |
| საშიში ინფექციების ჯგუფური შემთხვევები | | | 02 | 11702 |
| საშიში ინფექციების ეპიდემიური აფეთქებები | | | 03 | 11703 |
| ეპიდემიები | | | 04 | 11704 |
| პანდემიები | | | 05 | 11705 |

| | | | | |
|--|----------|-----------|----|-------|
| ადამიანების საშიში ინფექციები დაუდგენელი ეტიოლოგიით | | | 06 | 11706 |
| სოციალურ-ბიოლოგიური საგანგებო სიტუაციები, გამოწვეული ადამიანების მოწამვლით | 1 | 18 | | |
| ადამიანების მოწამვლა კვების პროდუქტების გამოყენების შედეგად | | | 01 | 11801 |
| ადამიანების მოწამვლა წყლის გამოყენების შედეგად | | | 02 | 11802 |
| ადამიანების მოწამვლა ტოქსიკური და სხვა ნივთიერებებით (შემთხვევითი ფაქტების გარდა) | | | 03 | 11803 |
| ადამიანების მოწამვლა ტოქსიკური და სხვა ნივთიერებებით (ჯგუფური შემთხვევები) | | | 04 | 11804 |
| ადამიანების მოწამვლა ტოქსიკური და სხვა ნივთიერებებით (მასობრივი შემთხვევები) | | | 05 | 11805 |
| სოციალურ-ბიოლოგიური საგანგებო სიტუაციები, გამოწვეული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ინფექციური დაავადებებით | 1 | 19 | | |
| ეზოტოპური და განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების ერთეული შემთხვევები | | | 01 | 11901 |
| ენზოოტიები | | | 02 | 11902 |
| ეპიზოოტიები | | | 03 | 11903 |
| პანზოოტიები | | | 04 | 11904 |
| სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და წყლის ორგანიზმების (ჰიდრობიონტების) ინფექციური დაავადებები გამოუვლენი ეტიოლოგიებით | | | 05 | 11905 |
| წყლის ცხოველებისა და ჰიდრობიონტების ინფექციური დაავადებები | | | 06 | 11906 |
| სოციალურ-ბიოლოგიური საგანგებო სიტუაციები, გამოწვეული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მასობრივი მოწამვლით | 1 | 20 | | |
| სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მასობრივი მოწამვლა/დაღუპვა | | | 01 | 12001 |
| გარეული ცხოველების მასობრივი დაღუპვა | | | 02 | 12002 |
| სოციალურ-ბიოლოგიური საგანგებო სიტუაციები, გამოწვეული სასოფლო-სამეურნეო მცენარეების დასნებოვნებით (დაავადებებითა და მავნებლებით) | 1 | 21 | | |
| პანფიტოტია | | | 01 | 12101 |
| პროგრესირებადი ეპიფიტოტია | | | 02 | 12102 |
| სასოფლო-სამეურნეო მცენარეების დაავადება გამოუვლენელი ეტიოლოგიებით | | | 03 | 12103 |
| მცენარეთა მავნებლების მასობრივი გავრცელება | | | 04 | 12104 |
| ბუნებრივი ხასიათის ინციდენტი/საგანგებო სიტუაცია | 2 | | | |
| სახიფათო გეოფიზიკური მოვლენები | 2 | 01 | | |
| მიწისძვრები | | | 01 | 20101 |
| ვულკანის ამოფრქვევა | | | 02 | 20102 |
| სახიფათო გეოლოგიური მოვლენები | 2 | 02 | | |
| ტალახოვანი ვულკანის ამოფრქვევა | | | 01 | 20201 |
| მეწყერები | | | 02 | 20202 |
| ჩამოცვენა, ჩამოშლა, ქვათა ცვენა | | | 03 | 20203 |
| კარსტული ჩამოქცევა | | | 04 | 20204 |
| ღვარცოფი | | | 05 | 20205 |
| ფერდობული გამორეცხვა | | | 06 | 20206 |

| | | | | |
|--|----------|-----------|----|-------|
| ლიოსისებრი ქანების დაჯდომა | | | 07 | 20207 |
| აბრაზია, ეროზია | | | 08 | 20208 |
| კურუმი | | | 09 | 20209 |
| სახიფათო მეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური მოვლენები | 2 | 03 | | |
| ქარიშხლები (9-11 ბალის) | | | 01 | 20301 |
| გრიგალები (12-15 ბალის) | | | 02 | 20302 |
| ქარიშხლები, ქარბორბალები | | | 03 | 20303 |
| გრიგალები | | | 04 | 20304 |
| ვერტიკალური გრიგალები | | | 05 | 20305 |
| მტვრის ქარიშხლები | | | 06 | 20306 |
| მსხვილი სეტყვა | | | 07 | 20307 |
| ძლიერი წვიმები (თავსხმა) | | | 08 | 20308 |
| კოკისპირული წვიმები | | | 09 | 20309 |
| ხანგრძლივი წვიმები | | | 10 | 20310 |
| ძლიერი თოვა | | | 11 | 20311 |
| თოვლის ძლიერი მიკვრა | | | 12 | 20312 |
| ძლიერი გაყინვა | | | 13 | 20313 |
| ძლიერი ქარბუქები | | | 14 | 20314 |
| ძლიერი მოყინულობა | | | 15 | 20315 |
| ძლიერი ყინვა | | | 16 | 20316 |
| ძლიერი სიცხე | | | 17 | 20317 |
| ძლიერი ნისლი | | | 18 | 20318 |
| გვალვა | | | 19 | 20319 |
| სუსხი | | | 20 | 20320 |
| ხორშაკი | | | 21 | 20321 |
| ძლიერი ჭექა-ქუხილი | | | 22 | 20322 |
| თოვლის ზვავები | | | 23 | 20323 |
| ტყის ხანძრების მომეტებული საფრთხე | | | 24 | 20324 |
| ზღვის სახიფათო ჰიდროლოგიური მოვლენები | 2 | 04 | | |
| ტროპიკული ციკლონი (ტაიფუნი) | | | 01 | 20401 |
| ცუნამები | | | 02 | 20402 |
| ძლიერი ღელვა | | | 03 | 20403 |
| ზღვის დონის ძლიერი ცვალებადობა | | | 04 | 20404 |
| ძლიერი მორევი პორტებში | | | 05 | 20405 |
| ადრეული ყინულსაფარი ან ნარჩილი | | | 06 | 20406 |
| ყინულების დაწნევა, ყინულების ინტენსიური დრეიფი | | | 07 | 20407 |
| გემებისა და საპორტო ნაგებობების შემოყინვა | | | 08 | 20408 |
| სანაპირო ყინულის მოწყვეტა | | | 09 | 20409 |
| გაუვალი (მნელად გასავლელი) ყინული | | | 10 | 20410 |
| მცურავი საშუალებების შებოჭვა და მათი დაღუპვა ყინულის დაწნევით | | | 11 | 20411 |
| სახიფათო ჰიდროლოგიური მოვლენები | 2 | 05 | | |
| წყლის მაღალი დონე (წყალდიდობა) | | | 01 | 20501 |
| წყალდიდობა (წყალუხვობა) | | | 02 | 20502 |
| წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნა | | | 03 | 20503 |
| ხერგილები | | | 04 | 20504 |
| წყალმცირობა | | | 05 | 20505 |
| წყლის დაბალი დონე | | | 06 | 20506 |
| ადრეული მოყინვა და ყინულის წარმოქმნა სანაოსნო წყალსაცავებსა და მდინარეებზე | | | 07 | 20507 |

| | | | | |
|---|----------|-----------|----|-------|
| ინტენსიური ყინულსვლა | | | 08 | 20508 |
| სახიფათო ჰიდროგეოლოგიური მოვლენები | 2 | 06 | | |
| გრუნტის წყლების დაბალი დონე | | | 01 | 20601 |
| გრუნტის წყლების მაღალი დონე (შეტბორვა) | | | 02 | 20602 |
| ბუნებრივი ხანძრები | 2 | 07 | | |
| ტყის ხანძრები | | | 01 | 20701 |
| ველებსა და პურეულის მასივების ხანძრები | | | 02 | 20702 |
| ტორფული ხანძრები | | | 03 | 20703 |
| წვადი წიაღისეულის მიწისქვეშა ხანძრები | | | 04 | 20704 |
| ხმელეთის (ნიადაგის, წიაღის, ლანდშაფტის) მდგომარეობის ცვლილებებთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციები | 2 | 08 | | |
| მიწის ზედაპირის კატასტროფული დაწევა, მეწყრები, ჩამოქცევები, რომლებიც გამოწვეულია წიაღისეულის მოპოვებისას წიაღის დამუშავებით და ადამიანის სხვა საქმიანობით | | | 01 | 20801 |
| ნიადაგის ინტენსიური დეგრადაცია, ნიადაგის ეროზიით, მარილიანობის მომატებით, დაჭაობებით გამოწვეული ვრცელი ტერიტორიების გაუდაბნობა | | | 02 | 20802 |
| სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების საცავების (ნაგავსაყრელების) გადავსებით და ამ მიზეზის გამო გარემოს დაბინძურებით გამოწვეული კრიტიკული სიტუაციები | | | 03 | 20803 |
| ატმოსფეროს (საჰაერო გარემოს) შემადგენლობისა და თვისებების ცვლილებასთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციები | 2 | 09 | | |
| ანთროპოგენური საქმიანობის შედეგად გამოწვეული ამინდისა ან კლიმატის მკვეთრი ცვლილება | | | 01 | 20901 |
| ტემპერატურული ინვერსიები ქალაქების თავზე | | | 02 | 20902 |
| ჟანგბადის უკმარისობა ქალაქებში | | | 03 | 20903 |
| მჟავური ნალექების მოსვლა | | | 04 | 20904 |
| ატმოსფეროს ოზონის ფენის დაშლა | | | 05 | 20905 |
| ატმოსფეროს გამჭვირვალობის მნიშვნელოვანი ცვლილება | | | 06 | 20906 |
| რადიაციის დონის მომატება | | | 07 | 20907 |
| უცხო სხეულის შეჯახება დედამიწასთან | | | 08 | 20908 |
| ჰიდროსფეროს (წყლის გარემოს) მდგომარეობის ცვლილებებთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციები | 2 | 10 | | |
| წყლის მარაგების (წყაროების) გამოლევიტ, დაბინძურებით გამოწვეული სასმელი წყლის მკვეთრი უკმარისობა | | | 01 | 21001 |
| სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისა და ტექნოლოგიური პროცესების უზრუნველყოფისათვის საჭირო წყლის რესურსების გამოლევა | | | 02 | 21002 |
| ბიოსფეროს მდგომარეობის ცვლილებებთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციები | 2 | 11 | | |
| საცხოვრებელი გარემო პირობების ცვლილებებზე მგრძობიარე ცხოველთა, მცენარეთა სახეობების გაქრობა | | | 01 | 21101 |
| მცენარეთა დალუპვა ვრცელ ტერიტორიებზე | | | 02 | 21102 |
| განახლებადი რესურსების კვლავწარმოებაზე | | | 03 | 21103 |

| | | | | |
|-----------------------------------|--|--|--|--|
| ბიოსფეროს უნარის მკვეთრი ცვლილება | | | | |
|-----------------------------------|--|--|--|--|

საგანგებო სიტუაციის კოდირება

| | |
|---------------|------------------|
| ეროვნული დონე | ადგილობრივი დონე |
| I- K | II-K |

ინციდენტის კოდირება

| |
|-----------|
| ინციდენტი |
| III-K |

შენიშვნა: „K“ - ხუთნიშნა კოდი წესის დანართი №1-ის მიხედვით.